


პროდუქტის შესახებ

ბუნებრივი და მხუთავი აირის მაღალსტაბილური კომპლექსური დეტექტორი. გამოიყენება ბუნებრივი ან მხუთავი აირის გაჟონვის დასადგენად. დეტექტორში გამოყენებულია თანამედროვე ნახევარგამტარი სენსორი და 2 ჩამონტაჟებული სენსორი, ბუნებრივი აირის და მხუთავი აირის ცალ-ცალკე დადგენის მიზნით. MCU დამუშავება, სტაბილური და ხანგრძლივი მუშაობა, იოლი დამონტაჟება და მაღალი საიმედოობა. დეტექტორი გამოიყენება საცხოვრებელი ზონების, ვილების, სასტუმროების, მარკეტების, პანსიონატების და სხვ. უსაფრთხოებისთვის, სადაც შესაძლებელია ბუნებრივი ან მხუთავი აირის არსებობა.

პროდუქტის პროფილი



მხუთავი აირის სატესტო ლილაკი


ქსელის ინდიკატორი

CO ინდიკატორი

ბუნებრივი აირის ინდიკატორი

გაზის კონვექციის ნახვრეტები

ბუნებრივი აირის ელექტროსარკველი (დამატებით)



1 - მექანიკური სვეტი

2 - მართვის ხაზი (დეტექტორთან შეერთება)

მთავარი მახასიათებლები

- მაღალსაიმედო სენსორი
- ავტომატური გადატვირთვა სიგნალის შემდეგ
- MCU დამუშავება (multipoint control unit)
- გაუმართაობის ავტომატური შემოწმების ინდიკატორი
- საფრთხის სიგნალის N.C. / N.O. (დამატებით)
- ორსენსორიანი
- მუშაობს ელექტროსარქველთან/გამწოვ ვენტილატორთან
- მაღალსტაბილური ელექტრო პლატა (SMT)
- ბუნებრივი აირის, მხუთავი აირის დადგენა

ტექნიკური სპეციფიკაცია


სამუშაო ძაბვა:	100 – 240 V AC, ან 12 V DC
საპროექტო სიმძლავრე:	≤3W (220 V AC)
მომზადების დრო:	3 - 5 წუთი
სიგნალიზაციის დონე:	ბუნებრივი აირის 6% LEL ± 5% LEL, მხუთავი აირის 150 PPM ± 100 PPM
სიგნალიზაციის ინდიკატორი:	შესაბამისი წითელი მოციმციმე შუქდიოდი
გაუმართაობის ინდიკატორი:	ხანგრძლივი ხმოვანი სიგნალიზაციის ყვითელი შუქდიოდი
სიგნალიზაციის ხმა:	≥70 დბ (1 მეტრის ფარგლებში)
სამუშაო ტემპერატურა:	-10°C დან + 50°C -მდე
გარემო ტენიანობა:	≤95% RH (გამყარების გარეშე)
სამონტაჟო რეჟიმი:	კედელზე დასამონტაჟებელი
სიგნალიზაცია:	სარელეო სქემის გამომავალი სიგნალი / ხმოვანი და მოციმციმე სიგნალიზაცია
უსადენო RF:	315 MHz, ან 433 MHz
უსადენო გადაცემის მანძილი:	100 მ (ღია ცის ქვეშ)

ზომა: 115*72*41 მმ

შესრულების კრიტერიუმი: GB15322.2-2003

დამონტაჟება

1. დარწმუნდით წარმოქმნილი აირი ჰაერზე მძიმეა თუ მსუბუქი. მძიმე აირები: თხევადი აირი და სხვ. მსუბუქი აირები: მხუთავი აირი, ბუნებრივი აირი, ჰაობის აირი (მეთანი) და სხვ.
2. შესაფერისი პოზიციის შერჩევა დეტექტორის დასამონტაჟებლად აირის კუთვნილი მასის მიხედვით. ჰაერზე მძიმე აირის აღმოჩენა: დამონტაჟების სიმაღლე იატაკიდან: 0.3-1.0 მ, ნახევარდიამეტრი აირის წყაროსთან: <1.5 მ; ჰაერზე მსუბუქი აირის აღმოჩენა: დამონტაჟების სიმაღლე ჭერიდან: 0.3-1.0 მ, ნახევარდიამეტრი აირის წყაროსთან: <1.5 მ (იხ. შემდეგი სურათი)



ჭერი

დეტექტორი

დიამეტრი: 3 მ

გაზქურა


იატაკი

3. მყარად დაამაგრეთ კედელში ხრახნი, შემდეგ კი დეტექტორი დაკიდეთ.
4. გაითვალისწინეთ, რომ დახურულ ფართში დამონტაჟებისას, დამონტაჟების პოზიცია არ უნდა იყოს გაზქურასთან ძალიან ახლოს, რომ არ დაზიანდეს დეტექტორი. ასევე, მისი დამონტაჟება არ შეიძლება ზეთის აორთქლების ადგილთან ახლოს, რომ არ მოხდეს სიგნალიზაციის მცდარი ჩართვა.
5. ელექტროგაყვანილობა უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ადგილობრივ კანონებს და კრიტერიუმებს. გამტარები უნდა იყოს შესაფერისი ზომის, ფერადი ნიშნებით - სწორი

გაზის და მზუთავი აირის დეტექტორი

შეერთების უზრუნველსაყოფად. გამტარების არასწორი შეერთება გამოიწვევს სიგნალიზაციის შეცდომას აირის გაჟონვის შემთხვევაში.

ტერმინალური ბლოკი



შემავალი სიმბლავრე

NC/NO ან გამწოვ ვენტილატორთან შეერთება

ელექტროგამანაწილებელი

გამოყენების ინსტრუქცია

მრავალფუნქციური დეტექტორი შეიძლება გამოყენებული იქნას დამოუკიდებლად, ან სამონტაჟო ქსელის გამომავალ ფუნქციებთან ერთად.

1. დამოუკიდებლად

- (1) შეარჩიეთ დეტექტორის შესაფერისი პოზიცია დასამონტაჟებლად „დამონტაჟების“ თავის შესაბამისად.
- (2) ჩართეთ მოწყობილობა. ჩართვის შემდეგ მოწყობილობა თვითტესტირებას ახდენს, ირთვება კვების ინდიკატორი (LED), სიგნალიზაციის შუქდიოდი ერთი წამით აციმციმდება, ხოლო სიგნალიზაცია გამოსცემს ხმას. შემდეგ სქემა მომზადების მდგომარეობაში გადადის, ციმციმებს მწვანე ნათურა. დაახლოებით 3-5 წუთის შემდეგ მომზადების მდგომარეობა სრულდება, მწვანე ნათურა ეკრება, რაც ნიშნავს, რომ დეტექტორი ნორმალურ სამუშაო მდგომარეობაშია.

2. სამონტაჟო ქსელში

- (1) შეარჩიეთ დეტექტორის შესაფერისი პოზიცია დასამონტაჟებლად „დამონტაჟების“ თავის შესაბამისად. დეტექტორის შეერთება რეგულატორთან, N.C. ან N.O., ოფციონალურად, რეგულატორის სისტემის შესაბამისად.
- (2) ჩართეთ მოწყობილობა. ჩართვის შემდეგ მოწყობილობა თვითტესტირებას ახდენს, ირთვება კვების ინდიკატორი (LED), სიგნალიზაციის შუქდიოდი ერთი წამით აციმციმდება, ხოლო სიგნალიზაცია გამოსცემს ხმას. შემდეგ სქემა მომზადების მდგომარეობაში გადადის, ციმციმებს მწვანე ნათურა. დაახლოებით 3-5 წუთის

გაზის და მზუთავი აირის დეტექტორი

შემდეგ მომზადების მდგომარეობა სრულდება, მწვანე ნათურა ქვრება, რაც ნიშნავს, რომ დეტექტორი ნორმალურ სამუშაო მდგომარეობაშია.

- (3) აირის გაჟონვის დადგენისას შესაბამისი შუქდიოდი წითლად აციმციმდება, სიგნალიზაცია გამოსცემს ხმოვან შეტყობინებას და ჩაირთვება ქსელის გამომავალი სიგნალიზაცია (ან/და ამუშავდება გამწოვი ვენტილატორი გაჟონილი აირის გასაფანტად). ამ დროს ამუშავდება ელექტროსარქველი და ჩაკეტავს აირის მილგაყვანილობის მოწოდებას, თუ დეტექტორი ელექტროსარქველთან არის შეერთებული. აირის განდევნის შემდეგ დეტექტორი კვლავ დეტექტორულ მდგომარეობას უბრუნდება.
- (4) დეტექტორის მუშაობისას CO სენსორი პერიოდულად სუფთავდება შიდა სქემით. ინდიკატორი მწვანე ნათურას ჩართავს გასუფთავების სტატუსის დროს, ხოლო მისი დასრულების შემდეგ მწვანე ნათურა ქვრება.
- (5) დეტექტორი, მუშაობის დროს, მის შიდა სენსორს ამოწმებს გაუმართაობის გამოსავლენად. ამ დროს, შესაბამისი შუქდიოდი ყვითლად ირთვება და სიგნალიზაცია გრძელ ხმოვალ სიგნალს გამოსცემს, რაც ნიშნავს, რომ დეტექტორში შიდა გაუმართაობა აღმოჩენილი.
- (6) თუ დეტექტორი გაუმართავად მუშაობს, გამორთეთ ქსელიდან და ხელახლა ჩართეთ. თუ დეტექტორი კვლავ გაუმართავად მუშაობს, დაუკავშირდით მომსახურების ცენტრს.

ტესტირება

1. ტესტირება ბუნებრივ აირზე: დეტექტორის მომზადების სტატუსის დასრულების შემდეგ, მომხმარებელი, აირის კონვექციის ნახვრეტებიდან, 5 სმ მანძილზე, არაწვადი სათეხელას მეშვეობით გაზს უშვებს. დეტექტორი გამოსცემს ხმოვან სიგნალიზაციას, ხოლო წვადი აირის ინდიკატორი წითლად აციმციმდება. როდესაც აირის სიმკვრივე სიგნალიზაციის დონეს ჩამოსცდება, სიგნალიზაცია შეწყდება და დეტექტორი საწყის მდგომარეობას დაუბრუნდება. ხშირმა ტესტირებამ შეიძლება დეტექტორის მგრძობელობის შემცირება გამოიწვიოს.
2. ტესტირება მხუთავ აირზე: როდესაც დეტექტორი ნორმალურ მდგომარეობაშია, დააჭირეთ „CO ტესტირების ღილაკს“ - ჩაირთვება ხმოვანი სიგნალიზაცია, ხოლო CO ინდიკატორი წითლად აციმციმდება.

LED ინფორმაცია

LED ინფორმაცია / მდგომარეობა	CO (მხუთავი აირის) LED			აირის LED		
	წითელი	მწვანე	ყვითელი	წითელი	მწვანე	ყვითელი
მომზადება		ციმციმი			ციმციმი	
CO სიგნალიზაცია	ციმციმი					
აირის სიგნალიზაცია				ციმციმი		
CO სენსორის გაუმართაობა			ჩართვა			
აირის სენსორის გაუმართაობა						ჩართვა
CO სენსორის დასუფთავება		ჩართვა				

ავარიული სიგნალიზაცია

დეტექტორის სიგნალიზაცია ჩართულია, ვიდრე გაზის სიმკვრივე ჰაერში სიგნალიზაციის ჩართვის დონეზე მაღალია. პრობლემის მოგვარება:

1. დაუყოვნებლივ ჩაკეტეთ აირის შემავალი სარქველი
2. გააღეთ ფანჯარა და ოთახი გაანიავეთ
3. ჩააქრეთ ალის ყველა წყარო და არ გამოიყენოთ არაფერი, რამაც შეიძლება ალი წარმოქმნას, მაგ.: სანთებელა, ასანთი და ა.შ.
4. არ ჩართოთ/გამორთოთ ელექტროაღჭურვილობა
5. დაადგინეთ აირის გაჟონვის მიზეზი და დროულად შეატყობინეთ შესაბამის სამსახურს. თუ აღმოჩნდება, რომ შეტყობინება მცდარი იყო, მომხმარებელმა უნდა შეამოწმოს სამონტაჟო პოზიციის სისწორე.

შენიშვნა

1. მრავალფუნქციური დეტექტორი სწორად უნდა იქნას დამონტაჟებული და შეერთებული. დეტექტორი არ იმუშავებს, თუ კვება გაუმართავად მიეწოდება.
2. აუცილებელია პერიოდული ტექნიკური მომსახურება შესაბამისი მითითებებისამებრ
3. დეტექტორის ტესტირება შესაბამისმა პერსონალმა უნდა ჩაატაროს ყოველ 6 თვეში ერთხელ. გაუმართაობის შემთხვევაში აუცილებელია მისი შეკეთება ან შეცვლა.
4. დეტექტორმა შეიძლება შეამციროს უბედური შემთხვევის ალბათობა, მაგრამ არ უზრუნველყოფს 100% უსაფრთხოებას. თქვენი უსაფრთხოებისთვის, ამ პროდუქტის სწორად გამოყენებასთან ერთად, აუცილებელია უსაფრთხოების ყველა საჭირო ზომის მიღება და უსაფრთხოების დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება.